F 2751 N 13866

წლიწადი მერვე

საქართველო უწინარეს

# თეთრი გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ პატრიოტთა ორგანო

პარიზი
აპრილი 1933 წელი
№ 63

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

რედაქტორი მ. წერეთელი. Le Directeur: M. TSERETHELI.

Paris
AVRIL 1933
№ 63

†

ღრმად დამწუხრებული და ბედით დაჩაგრული თავადი **ნიკოლოზ გრიგოლის ძე ნაკაშიძე** აცნობებს მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 18 აპრილს ქალაქ ბერლინში გარდაიცვალა მეუღლე მისი **ვანდა ლევან ყოყოჩაშვილის ასული ნაკაშიძისა.**

†

ბერლინის ორგანიზაციები „თეთრი-გიორგისა“ და „ეროვნულ-დემოკრატებისა“ ულრმესს სამძიმარს უცხადებენ თავად ნ ი კ ო ლ ო ზ ნ ა კ ა შ ი ძ ე ს მისი ძვირფასი მეუღლის **ვანდა ლევან ყოყოჩაშვილის ასულის** გარდაცვალების გამო.

## „საქართველო უწინარეს ყოვლისა“.

### მოწოდება

ძვირფასო ძმებო, თეთრ-გიორგელებო!

დღეს მსოფლიოში შეჯახებულია ორი ძალა: ინტეგრალური ნაციონალიზმი და მარქსიზმი. კაცობრიობის და მაშასადამე საქართველოს ბედიც, ამ ბრძოლის შედეგებზედაა დამოკიდებული. ამიტომ ქართველი მამულიშვილები ამ ბრძოლის გარეშე, უმოქმედოდ არ უნდა დარჩენ.

ინტეგრალური ნაციონალიზმის და მარქსიზმის შეჯლას ჩვენი ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე შემდეგი ორი მიზეზით:

პ ი რ ვ ე ლ ი. — მარქსიზმი ცივილიზაციის დამანგრეველი მოვლენაა. მაშასადამე იგი ერის გამანადგურებელია, ვინაითგან ცივილიზაცია და ერი ერთი მეორითგან წარმოშობილი ფაქტორია; ერთი მეორესთან, ვით სული სხეულთან, ბუნებრივად დაკავშირებული. ხოლო როგორც ყოველ ერს, ქართველ ერსაც სურს სიცოცხლე და წარმატება. ეროვნული არსებობა და სიდიადე იყო და დარჩება ერთად ერთ მიზნად ქართველი ერის მრავალ საუკუნოვანი ბრძოლისა და შემოქმედებისა. თუ აქამდე ეროვნული ბრძოლა და შემოქმედება, ყველა ერისა და ჩვენი ერისაც, უმთავრესად ინსტინქტიური იყო — ამიერითგან იგი უნდა გადაიქცეს სავსებით შეგნებულად და უნდა ეროვნული მიზანშეწონილობით სწარმოებდეს. არა მხოლოდ ერის ხელმძღვანელებმა, არამედ ერის ყოველმა წევრმა უნდა შეიგნოს, რომ მისი ღვაწლის და ბრძოლის მთავარ მიზანს ეროვნული ინტერესი უნდა შეადგენდეს. ეროვნული მიზნები და მათი განმახორციელებელი საშუალებანი ერის წინაშე ნათლად უნდა იყვნენ ხოლმე დასახულნი. ამგვარი შეგნების შეტანა ხალხის მასებში და ხალხის შემოქმედების ეროვნული მიზანშეწონილობა შეადგენს მთავარ საგანს ინტეგრალური ნაციონალიზმის მისწრაფებისა. როგორც ყველა ერის, აგრეთვე ქართველი ერის აღორძინებაც მხოლოდ ამ ნიადაგზედაა შესაძლებელი.

მ ე ო რ ე. — ინტეგრალური ნაციონალიზმის, ე. ი. ფაშიზმის სრული გამარჯვება უდრის მარქსიზმის, ორივე სახეობის განადგურებას მსოფლიო მაშტაბში. ამას კი აუცილებლად რუსეთის იმპერიის დაშლა მოჰყვება. ხოლო ეს ნიშნავს საქართველოს განთავისუფლებას, იმიტომ, რომ რუსეთის კომუნისტური პარტიის დამხობის შემდეგ რუსეთში აღარ მოიპოება სხვა რომელიმე ძალა, რომელიც შესძლებდეს იმპერიის ცენტრისადმი, მისგან ლტოლვილ, ეთნიური ელემენტების დამორჩილებას. ეს უდავო ფაქტია. ამიტომ ყოველი ღირსეული ქართველის ენერგია მიმართული უნდა იყოს ინტეგრალური ნაციონალიზმის გამარჯვებისაკენ. დღეითგან მაინც ყოველი ქართველი მამულიშვილი უნდა შეებრძოლოს ყოველგან და ყოველ ნიადაგზედ მარქსიზმის ყოველგვარ გამომჟღავნებას, ყოველ მის სახეს. ასეთია თ. გიორგის ტაქტიკა მარქსიზმისადმი. მაგრამ ერთი რამ უნდა ბეჯითად იცოდეს ყოველმა თეთრ-გიორგელმა: ჩვენ მთავარ მიზანს მარქსიზმის წინაამდეგ ბრძოლა კი არ შეადგენს, არამედ ინტეგრალური ნაციონალიზმის იდეის შეტანა საქართველოში და ჩვენი ძალების მტკიცე დისციპლინით დარაზმვა. პირველი არის საშუალება მეორის მისაღწევად. ჩვენი შემოქმედება უმთავრესად დადებითი, აშენებლობითი უნდა იყოს. თ. გიორგი თავის მოწინაამდეგე ძალებს იმდენად ებრძვის და იმდენად გაანადგურებს, რამდენად იგინი ხელს უშლიან მას თავის მოღვაწეობაში, რამდენად იგინი აფერხებენ სრული ნაციონალიზმის დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი იდეის გამარჯვება და საქართველოს აღორძინება თავის თავად დაამხობს მარქსიზმს და აღგვის მის მავნე კვალსა, ვით ამომავალი მზე გაჰფანტავს ხოლმე ღამის წყვდიადსა.

მეცხრამეტე საუკუნე იყო ხანა ერების გამოღვიძებისა, რომლის ევოლუციამ, ლოღიკურად და ბუნებრივად, დღევანდელ ინტეგრალური ნაციონალიზმს, ე. ი. ფაშიზმს მიაღწია, მის სიმაღლეზედ ავიდა. თანამედროვე და მომავალი საუკუნეები იქნებიან ჟამნი ერების აღორძინებისა. ამ ჟამთა მსვლელობაში თან და თან გადაიშლება გრანდიოზული სურათი ერის განუსაზღვრელი დინამიკისა. ინტეგრალური ნაციონალიზმის წიაღში გამომჟღავნდება ერების ბუმბერაზული შემოქმედებითი ძალა, რომელსაც აქამდე დემოკრატიზმი და მარქსიზმი აფერხებდენ. შეიქმნება ახალი ცივილიზაცია, ახალი ხანა, უფრო ძლიერი, უფრო მნიშვნელოვანი თავისი შინაარსით და შემოქმედებითი ევოლუციით, ვიდრე იყვნენ ქრისტიანული და აღორძინების ეპოქები. გამოქანდაკდება ახალი სახე ცხოვრებისა. ეს დიადი ეროვნული შემოქმედება ხმელთა შუაზღვის და ადრიატიის კიდეებზედ, ტიბროსის და პო-ს ნაპირებზედ უკვე განხორციელების პროცესშია. თეთრ გიორგელებო, მიაპყარით თვალი იტალიას: აპენინის მწვერვალებზედ უკვე დაენთო ახალი ცხოვრების განთიადი! იტალიელი გენიოსი ერი თავისი ძლიერი ხელით, კიდევ ერთხელ სჭედავს კაცობრიობის ახალ ბედსა, ისევე როგორც გამოსჭედა ანტიური მსოფლიოს ცივილიზაცია, ისევე, როგორც გამოსჭედა აღორძინების ხანა, ნიადაგი თანამედროვე ცივილიზაციისა.

ცალი მხრივ მომაკვდავი დემოკრატიზმის და მისი პირმშო შვილის, დამანგრეველი მარქსიზმის, და მეორე მხრივ შემოქმედი ფაშიზმის შორის არჩევანი ადვილია. ქართველებო, თ. გიორგი მოგიხმობთ ინტეგრალური ნაციონალიზმის დიდებული, სახელოვანი და ძლევამოსილი დროშის ქვეშ! იცოდეთ: გამარჯვებას და აღორძინებას საქართველო მხოლოდ ამ დიდებული დროშის ქვეშ შესძლებს!

ირღვევა ძველი ქვეყანა და მასთან ერთად ირღვევიან მის წიაღში წარმოშობილნი, ყალბი და თან უკვე დღეს დაძველებული იდეები: ლიბერალიზმი, დემოკრატიზმი, მარქსიზმი.

ქართველი ლიბერალ-დემოკრატები ცხოვრებამ იმავე პირობებში ჩააყენა, როგორშიც მათი იდეური მონათესავე ევროპიელები. მათ დაინახეს, რომ მათი და მარქსისტული პარტიების არსებობას ერთი და იგივე ძალა ემუქრება, ფაშიზმი და ამიტომ ევროპიელ დემოკრატებმა და მარქსისტებმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს. დაინახეს ეს ჩვენმა დემოკრატებმაც და თავი მენშევიკების წითელ ფრთებს შეაფარეს. ნაციონალ-დემოკრატებმა ინტეგრალური ნაციონალიზმის იდეოლოგია ვერ მიიღეს რათგან ეს საჭიროებდა ენერგიას, შრომას და გამჭრიახობას. ხოლო ამისთვის მათ არ აღმოაჩნდათ, არც საკმარისი ენერგია, არც საკმარისი პოლიტიკური ჭკუა. ამიტომ მათ აირჩიეს უფრო ადვილი გზა: დროებითი მყუდროება მენშევიკების მფარველობის ქვეშ. ხოლო რათა გაემართლებიათ თავისი ამგვარი სისუსტე და ჯამაგირებისათვის სულის წამლევა, მათ მენშევიკებთან თანამშრომლობა ერისათვის საჭირო საქმედ გამოაცხადეს. თითქოს ანტი-ეროვნულ ძალებთან, ერის მტრებთან თანამშრომლობით ეროვნული საქმე კეთდებოდეს. ასე მოიქცა ეროვნულ-დემოკრატების თითქმის მთელი პარტია. მომავალი როგორც ქართველ მარქსისტებისა, აგრეთვე დემოკრატიული პარტიისა იქნება ისეთივე, როგორც ბედი მათი მონათესავე ევროპიელი პარტიებისა: ამ პარტიებს, ევროპაშიც და საქართველოშიც ინტეგრალური ნაციონალიზმი გააუქმებს. რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატების ახალგაზრდობას, მისი რჩეული ნაწილი დღეს თუ ხვალ ჩვენი დროშის ქვეშ დაირაზმება. სოციალ-დემოკრატების ახალგაზრდობაც დაუკვირდება ცხოვრებასა და სინამდვილეს დაინახავს. ამის ნიშნები უკვე სჩანს.

ეროვნულ-დემოკრატიის ლიდერებს, მიუხედავად მათი შეცდომებისა, თ. გიორგი მაინც მოუწოდებს: ჯერ კიდევ დროა გაბედულად აღიაროთ ინტეგრალური ნაციონალიზმის უზენაესი იდეა; ჯერ კიდევ დროა ჩვენ გვერდით დაერაზმოთ, ჩვენთან ერთად იბრძოლოთ და გაიმარჯვოთ! ამას მოითხოვს თქვენგან სამშობლოს ბედი და მომავალი.

თეთრ-გიორგელებო, ჩვენი ორგანიზაციის გეზი, როგორც იდეოლოგიურის აგრეთვე ტაქტიკურის მხრივ იყო და დარჩა სავსებით სწორი. ჩვენ თავითგანვე, ჯერ კიდევ 1926 წელს, გაზ. «თ. გ.» პირველსავე ნომერში გაბედულად და მარტივად აღვიარეთ: ეროვნული სახელმწიფო და კორპორატიული სისტემა. ჩვენ თავითგანვე განვჭვრიტეთ ინტეგრალური ნაციონალიზმის გამარჯვების აუცილებლობა, და ცხოვრებამ გაგვამართლა. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ეროვნული სახელმწიფო და საზოგადოების პროფესიონალური ორგანიზაცია, ე. ი. კორპორაცია იმარჯვებს; რომ კულტურული ერების ვითარება ამ ორ ნიადაგზედ დამყარდება. ჩვენი ტაქტიკაც სწორია: არავითარი თანამშრომლობა მათთან, ვინც დაღუპა ჩვენი ქვეყანა; ვინც იყვნენ და დარჩენ საქართველოს მტრებად; ვისი იდეოლოგია სავსებით ანტი-ეროვნულია. ვისაც სურს ჩვენთან თანამშრომლობა ჯერ ეროვნულ ნიადაგზედ დადგეს. ჯერ აღიაროს: „საქართველო უწინარეს ყოვლისა.“

თ. გიორგის მეტად ძნელ და მძიმე პირობებში მოუხდა ბრძოლა. ყოველგვარ ლოიალობას მოკლებულმა მოწინაამდეგეებმა სიძულვილის, ჭორების, ბოროტების და გესლიანი მტრობის რკალი შემოგვარტყეს. მაგრამ ვერ შეგვარყიეს. ჩვენ გეზს, ჩვენ გზას ერთი გოჯითაც ვერ გადაგვაცილეს. ჩვენი ძალა სხვათა შორის იმაშიც მდგომარეობს, რომ კომპრომისები არ ვიცით: შეუპოვრად და ურყევად მივდივართ ეროვნული იდეის გზაზედ. თეთრმა გიორგიმ, თავისი დიადი საქმე, პატარა კომბინაციებით, ჯამაგირების ნიადაგზედ მომხდარი შეთანხმებებით, წვრილფეხა პოლიტიკანობით არ დააქუცმაცა. ჩვენ ჩვენი მოქმედება ფართო სარბიელზედ გავშალეთ. ჩვენი საქმის გასაძლიერებლად და გასამტკიცებლად უმთავრესად ჩვენი შრომა, ჯაფა და ღვაწლი დავსახეთ. თეთრი გიორგის ციხე-სიმაგრეს საძირკველი ჩვენი ოფლით და ჩვენი უნარით ჩაუყარეთ. ჩვენ სრული სისწორით მივხვდით ჟამთა ვითარებას. წინასწარ გავსჭვრიტეთ, რომ დგებოდა ხანა ახალი ცხოვრებისა; რომ ინტეგრალური ნაციონალიზმი გაიმარჯვებდა და მის ნიადაგზედ აღორძინდებოდენ როგორც სხვა კულტუროსანი ერები, აგრეთვე ჩვენი სამშობლოც. მიხვდით ყოველივე ამას და თ. გიორგის ბედი გაბედულად, უყოყმანოდ და მტკიცედ ამ დიდ მოვლენას დაუკავშირეთ, და წვრილმან პარტიულ კომბინაციებში არ გავებით.

ვიმეორებ: ცხოვრებამ ყველაფერში გაამართლა ჩვენი დებულება. ფაშიზმი, ე. ი. ინტეგრალური ნაციონალიზმი, დღეს მთელს მსოფლიოს მოედო. დაწყებული იაპონიითგან ვიდრე ევროპამდე იგი ძლევამოსილი, ბუმბერაზ ფაქტორად აღიმართა. ამიერითგან მას ვეღარავითარი ძალა ვეღარ გადაეღობება. ბრძოლა, რომელიც ინტეგრალურმა ნაციონალიზმმა დაიწყო ერისა და ცივილიზაციის სახელით მისი სრული გამარჯვებით დასრულდება: მომავალი საუკუნენი იქნებიან საუკუნენი ფაშიზმისა. კულტუროსანი ერები თავის ვითარებას შემდეგ პრინციპებზედ განახორციელებენ ეროვნული სახელმწიფოს: ეროვნული წარმომადგენლობით, კორპორატიული სისტემით, ეროვნული ეკონომიკით, ყველა მოქალაქეთა თანასწორობით სახელმწიფოსა და კანონის წინაშე, ეროვნული მთლიანობით და ეროვნული ინტერესების უპირატესობით პირად ინტერესებზედ. აღორძინდება და განმტკიცდება ოჯახი, აღზდგება და გაჯანსაღდება სოციალური ზნეობა, პატრიოტიზმი, სარწმუნოება, ეროვნული დისციპლინა.

...ბედი დაკავშირებულია მსოფლიო ბედთან: ...ციონალიზმის მსოფლიოს წიაღში საქართვე- ...ტური იქნება. ეს უდავოა. საქართველოში [illegible] ...დება ეროვნული სახელმწიფო, რომლის ფესვები გადგმულია ჩვენი ერის ისტორიაში. ქართული ეროვნული სახელმწიფოს ფუძე იქნება საქართველოს ისტორია და ეროვნული გენიის და შემოქმედების მიერ საუკუნეებით მოხვეჭილი ეროვნული კულტურა. მისი ფორმები კი შეგუებული იქნება განახლებული ცხოვრების მოთხოვნილებებთან. თავისუფალ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს საჭეთმპყრობელი იქნება თეთრი გიორგი.

თეთრ-გიორგელებო, მოგველის ბრძოლა მძაფრი და ფიცხელი. თქვენ დაამტკიცეთ, რომ იდეურ და ორგანიზაციულ ნიადაგზედ შეგძლებიათ მტკიცე და ურყევი ბრძოლა. დაჰკრავს საათი მხედრული ბრძოლისაც და დარწმუნებული ვარ ბრძოლის ველზედაც დაამტკიცებთ, რომ თეთრი გიორგი არსებობს მხოლოდ საქართველოსათვის და რომ თქვენი სიცოცხლე სამშობლოს ეკუთვნის! თქვენ თქვენის ჯაფით და ოფლით ასაზრდოეთ და გაზარდეთ ჩვენი უზენაესი საქმე, მალე თქვენის სისხლით და ვაჟკაცობით მოიპოვებთ სამშობლოს თავისუფლებას და დაამკვიდრებთ საქართველოში ეროვნულ სახელმწიფოს!

მაშ წინ, თეთრ-გიორგელებო. მედგრად და მხნედ! წინ, სრულის რწმენით, ჩვენი იდეის ჭეშმარიტებისა და გამარჯვებისაკენ! ბრძოლაში დამარცხებულია იგი, ვინც ყოყმანობს და სისუსტეს იჩენს. იმარჯვებს მხოლოდ სიმტკიცე და რწმენა: « უკეთუ ძალ-გიძს რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა » — ბრძანა მაცხოვარმა.

ჩვენს თავგანწირულ შრომაში, სამშობლოს დიდების მოსახვეჭად ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილის და შამილის აჩრდილები მიგვიძღვიან, სიმბოლოდ სამშობლოსადმი თავდადებისა კავკასის ერების ძმობა-ერთობისა!

გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს კონფედერატიულ-ეროვნულ სახელმწიფოში გაერთიანებულ კავკასიას!

გაუმარჯოს თეთრი გიორგის!

თეთრი გიორგის მთავარი მცველი ლეო კერესელიძე.

---

## დემოკრატია და ფაშიზმი

ბატონი ვან ზეელანდი არის მმართველი ბელგიის ნაციონალური ბანკისა.

რას ჰფიქრობს ეს ოფიციალური პირი კორპორატიული მოძრაობის შესახებ?

კორპორატიული სისტემა ოფიციალურად იქნება გამოცხადებული ეკონომიურ ცხოვრების საფუძვლად თუ არა?

პოლიტიკური თვალსაზრისით საკმარისად რთული ამბავია, რადგანაც უნდა მივიღოთ მხედველობაში, ერთი მხრივ განსაკუთრებული მეგობრობა, რომელიც არსებობს ბელგიის და საფრანგეთის შორის, და მეორე მხრივ საიუსაური კავშირი იტალიის და ბელგიის სამეფო სახლთა.

19 თებერვალს, ბ. ვან ზეელანდმა გააკეთა მოხსენება საფრანგეთის მეცნიერ-ეკონომისტთა წინაშე. მან განაცხადა, რომ «ეკონომიური კრიზისი უთუოდ აშკარად სვამს პოლიტიკურ საკითხს, რადგანაც დაძველებული პოლიტიკური დაწესებულებანი ვერ აკმაყოფილებენ დღევანდელ ტექნიკის და ეკონომიკის განვითარებას».

ბ. ვან ზეელანდი არც მომხრეა, არც წინააღმდეგი კორპორატიული სისტემისა, რადგანაც ის სპეციალისტ-ეკონომია, რომელიც მიუდგომლად თვალ-ყურს ადევნებს მსოფლიო კრიზისს.

მაგრამ ის აცხადებს, რომ «იტალიის გამოცდილებანი დღეს იპყრობენ მსოფლიო ყურადღებას, რადგანაც იტალიური სისტემა, რომელიც არის დამყარებული მაგარ თეორიულ საფუძველზედ, ვითარდება გარკვეულ გეგმის თანახმად და სავსებით ლოღიკურ ნაწებადო».

სხვათა შორის, სამწუხაროდ, რომ ბ. ვან ზეელანდი სრულიად არ შეეხო პორტუგალიას. ამ ქვეყნის მეთაური ბ. სალაზარი აღსანიშნავი შეუდრეკელობით და ნებისყოფით უკვე 1926 წლიდგან აშენებს სამაგალითო ეროვნულ სახელმწიფოს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ წინანდელ წერილში, რომ დღეს თვით «დემოკრატიაშიც» არსებობს მიმართულება, რომელიც ვერ მალავს თავის, ჯერ მორცხვ თანაგრძნობას ახალ თაობის საქმიანობისადმი და ასე თუ ისე ფორმით, გ. ვან ზეელანდისავით, «იძულებად-რამდენად», ასინც სიმპატიით უყურებს ფაშიზმს.

ამ «დემოკრატიულ ევოლიუციისაგან» ვერც მოვითხოვთ სწორე გამორკვევას თანამედროვე მდგომარეობისას, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კიდევ ორი წლის წინად ამავე დემოკრატიის პრესა საკვირველი სიტლანქით და სიბრიყვით ილაშქრებდა «[illegible]» დიქტატურის წინააღმდეგ, და რომლისათვის ბოლშევიზმი და ფაშიზმი წარმოადგენდა « აშკარა » იგივეობას.

დღეს კი ამ პრესაში ვკითხულობთ დაახლოებით შემდეგს: « ძველ სახელმწიფოთა წინაშე სდგას საკითხი მიუდგომლად დაფასებისა, ახალგაზრდა ქვეყნების ეროვნული დინამიზმის განსაკუთრებულ თვისებათა. არავის შეუძლია უარჰყოს, რომ 1928 წლის, იტალიის პარლამენტის არჩევნების დროს, მუსოლინიმ განმარტა ნამდვილი პლებისციტი, და იტალიის ხალხმა, თავისი დადებითი პასუხით, განამტკიცა « დუჩეს » დიქტატურა. იგივეს ვხედავთ გერმანიაში, რადგანაც ჰიტლერი არის ამორჩეული ხალხის უმრავლესობით და მაშასადამე თვით ხალხია მომხრე დიქტატურისა ».

კერძოდ საფრანგეთის ჟურნალ გაზეთები ისე თამამად ალაპარაკდენ ეროვნულ დიქტატურაზედ, რომ პირველმა მინისტრმა გ. დალადიემ საჭიროდ სცნო განეცხადებინა საქვეყნოდ უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით, რომ « ჩვენში დიქტატურა თავდება ან ვატერლოოს ტალახით, ან სედანის სირცხვილითაო».

მართლაც საფრანგეთის ისტორიას ახსოვს იმპერატორები « ხალხის ნებით », და უკანასკნელი მათგანი ამორჩეულ იქმნა შვიდი მილიონის ხმით, ორასი ათასის წინააღმდეგ.

დემოკრატიის, და მეტადრე ჩვენებური დემოკრატების უბედურება იმაშია, რომ [illegible] მეცხრამეტე საუკუნის [illegible] ახალი [illegible] ერთი მიზეზთაგანი არის აგრეთვე ძველი ტერმინოლოგია. რას ნიშნავს « დემოკრატიზმი » ბერძნული ფუძის და მიხედვით სულ სხვა საკითხია. პოლიტიკა არ არის ენათ-მეცნიერება. დემოკრატიზმი კი არის ჩვენთვის ის, რაც განვიცადეთ საკუთარ თავზედ, და რასაც დღესაც ვხედავთ: პარტიების ბატონობა, კლასთა ბრძოლა, უსამართლობა, ხალხის უბედურობა, სოციალიზმის გამარჯვება და კომუნიზმ-ბოლშევიზმით დაგვირგვინება.

იმ დროს, როცა პორტუგალია მაგრდება კორპორატიული სახელმწიფოს შენების გზაზედ, მისი დემოკრატიული მეზობელი, ისპანეთი, იქაური ყორდანიათი, ბ. აზანას პირადი ხელმძღვანელობით აწარმოებს გლეხ-კაცობის სისტემატიურ ჟლეტას.

კასას-ვიეხაში მომხდარი გლეხ კაცობის ხოცვა გვაგონებს იმ სისხლის ღვრას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რამდენიმე წლის წინად საერთოდ ჩვენში და კერძოდ გურიაში და მესხეთში, როცა ჩვენი ხალხი იცავდა თავის ნაოფლარს,—საკუთრებას და საქონელს.

ბოლშევიზმის და დემოკრატიულ სოციალიზმის მსგავსება მიდის უფრო შორს: ისპანეთის დემოკრატები და პარიზის კომუნისტები მართავენ დროდ გამოძვერით ერთნაირი შინაარსის დემონსტრაციებს ფაშიზმის წინააღმდეგ. ჩვენს « ოგონკებით » განათლებულ ფეტკოლისტ-დემოკრატებს კი სულ მუდამ რუსული არაყის სუნი უდისთ.

რაც შეეხება იმ გზა დაკარგულ დემოკრატებს, რომელნიც ჩვენ მსოფლმხედველობას უახლოვდებიან, მათაც ბევრი რამ დარჩათ მისასწავლი.

პოლიტიკური მოქმედება თხოულობს იდეოლოგიურ გარკვეულ ღობას. დემოკრატიამ კი დღეს დაჰკარგა საკუთარი გეზი და გარკვეული მსოფლმხედველობა. მისი საშინაო უთანხმოება და განხეთქილება [illegible]. და ამიტომაც დემოკრატიაში, როგორც უკვე ზოგადად აღვნიშნეთ, არსებობს ორი მიმდინარეობა: ერთი არის სოციალიზმ-ბოლშევიზმისაკენ და მეორე ფაშიზმისაკენ.

საფრანგეთის ყოფილი პირველი მინისტრი გ. ტარდიე აცხადებს, რომ ის არ არის ფაშისტი, რადგანაც ფაშიზმი იტალიური მოვლენაა, როგორც ჰიტლერიზმი გერმანულია, საფრანგეთს კი სჭირდება ფრანგული წამალიო.

თუ ბ. ტარდიეს « რევიზიონიზმის » პოლიტიკა გაიმარჯვებს, მაშინ შევადარებთ თუ რა განსხვავება იქნება საფრანგეთის განახლებულ « დემოკრატიის » და იტალო-გერმანულ რეჟიმთა შორის.

ჩვენ შეუმცდარად ვიცით, რომ ერს, რომელსაც სურს განსაკუთრებულ ეპოქაში თავისუფალი სახელმწიფოებრივი არსებობა, ის ერი ვერ გაექცევა ამ ეპოქის დამახასიათებელ

ს. ბერეჟიანი.

---

## მგზავრი

### I

წამიქცევს ქარი ეზოში მუხას.
წალეკავს გიჟი მდინარე ჭალებს.
დავანთებ კოშკში ძველებურ ბუხარს
და ცეცხლი წარსულს ააშრიალებს.

⁂

გამოვიარე გზა სევდიანი...
კოშკში დავეძებ დღეს თავშესაფარს.
და დედაბერი ბრმა, კუდიანი
ჩემ ცხოვრებიდან მიამბობს ზღაპარს.

⁂

და მე არ ვნანობ, რომ მეფის შვილმა
შუბი გასტეხა ბრძოლაში ქართან.
დამარცხდა ჯარი. არ არის შველა...
და ღონე მიხდილს სძინავს ბუხართან.

⁂

იწვის ბუხარი. ყურს უგდებს ზღაპარს...
ხალიჩით ნაფენ ძველ სავარძელში
ზის საუკუნე, ჰგავს ჩემს წინაპარს,
ფეხმოკეცილი ჩიბუხით ხელში.

### II

დაიბადება მთვარე ახალი
და ზეცა ღრუბლებს გადაიფარებს.
სეტყვა, გრიგალი და ქარიშხალი
ეომებიან გალავნის კარებს.

⁂

ვიყავი მეფე და ვგავარ ზღაპარს.
მოვკვდები, ისევ გამეღვიძება.
ძველ კოშკებიდან დავანთებ ლამპარს
და მზეთ-უნახავს ჩავესიძები.

⁂

ეჯიბს ვუბრძანებ: დამაკლდა ხედვა
და ვიდრე ღამემ თმებში გამაბა,
მომგვარე კვიცი მკვირცლხი, უხედნი
და საქორწილო მომართვი კაბა.

⁂

არც სინანული, არც თავის დახრა...
ზეცამ მარგუნა ეს ბედი წილად:
უძლური მეფე ქარში უმაყროდ
მივემგზავრები დღეს საქორწილოდ.

### III

თაფლის სანთელი. შავი ხატები.
„თქვენ მოგაშურებს ჭირში ყოველი.
„მძიმედ დაჭრილი დავეხეტები...
„დამლოცეთ. თქვენგან შველას მოველი.“

⁂

„ჩემი ბავშობა გახსოვს მარიამ?
„თეთრი ხელებით გთხოვდი შენდობას.
„დღეს კი ისეთი ცუდი დარია,
„რომ ჩავეხუტეთ ქსელში ობობას.“

⁂

„ნუ დამაბრუნებ გზიდან უკან მე.
„დე, ვერ გიხილო სასუფეველში,
„ოღონდ არ ვიჯდე ვით საუკუნე
„ფეხმოკეცილი, ჩიბუხით ხელში.“

⁂

—ამინ! —იძახის ბრმა კუდიანი
და გამხმარ ხელებს ჰაერში არწევს...
და მეც გადავკრავ მგზავრი გვიანი
მოწამლულ ღვინით ავსებულ ყანწებს.

### IV

მარტოდ ვარ, მარტოდ...დარბაზში ბნელა.
ბუხარში ბჟუტავს მუგუზლის ალი...
უცებ ვილაცამ ყრუდ ჩაახველა,
ხმა შემომესმა დინჯი, დაბალი:

⁂

„სად მიხვალ შვილო? ქარი ჰქრის ავი.
ღამეა ბნელი. გათენდეს დილა.
გზებს დასწოლია ნამქერი, ზვავი..
მომიჯექ გვერდით. ბუხრის პირ თბილა.“

⁂

—მშვიდობით! გესმის, მეძახის ქარი
და შეკაზმული ჭიხვინებს ცხენი?
ნუ მომიგონებ წყევლით, მუქარით,
როს გაგიმწარდეს მოხუცსა დღენი.

⁂

სევდიან თარზე ვერ აატირებს
ძველებურ ჰანგებს შენი პოეტი.
ვეღარ მოიტან შინ ნანადირევს:
გაგექცა ქორი და კაპოეტი... —

### V

ჩემო მერანო გადიქეც ქარად!
გაჰკაფე მკერდით ტყენი უვალი.
სად მამამ ბრძოლით დღეს გაიარა,
გაივლის მედგრად ხვალ მომავალი.

⁂

დალპეს, გაიხრწნეს ცხოვრება ძველი,
ცრემლი აპკუროს მიწას ავდარმა!
სიტყვა ახალი, ძველის შემცვლელი
უნდა სიკვდილში ჰპოვოს მხედარმა.

⁂

გადაიარე ველები ფრენით,
უცნობი ზეცა, უცნობი მხარე...
ასე მიჰქროდა განწირულ მერნით,
ვინც ნიავს მისცა ფიქრი მღელვარე.

⁂

და ბედის წყევლა ჩვენ გვმართებს განა,
თუ გვჯერა ზეცა კვლავ ირაჟრაჟებს?!
გამოუგზავნის მზე ბნელ ქვეყანას
ახალ რაინდებს, აწყვეტილ რაშებს!

### VI

მოაცურებენ ღრუბლები ნავებს...
გადმოეშვება ზეციდან გზები...
და გაიშლიან ოქროს ნაწნავებს
ღამეში თეთრი ანგელოსები...

⁂

და ვხედავ, ვხედავ: გამოჩნდა გზაზე
ცხენოსანთ გუნდი. მესმის მაყრული.
მოჰყავს მეჯვარეს ასული ნაზი,
ჩემი ოცნება და სიყვარული.

⁂

მაგრამ დიდია ცამდე მანძილი...
მიველი სატრფოს და ვითვლი წამებს.
ველი...სულ ველი...მერევა ძილი...
თოვლი მიკოცნის დახრილ წამწამებს...

⁂

რომელი ცხოვრობს ეხლა ჩვენ ორში?
დღე მზის თვალებით ჩემში ვის ხედავს?
ბედნიერ მეფეს? თუ სველ მინდორში
გაყინულ ცხენზე უსულო მხედარს?

პოლიტიკურ და ეკონომიურ კანონებს. ამ ერის ხელმძღვანელნიც უთუოდ აუღებენ ალღოს ამ ვითარებას. და ვაი იმ ერს, თუ მას არა ყავს ამისთვის ღირსეული წინამძღოლი!

დემოკრატიის ტაქტიკა ცენტრალიზმის და დეცენტრალიზმის საკითხშიც გვაძლევს გზას დაბნეულობის და ორჭოფობის სურაის.

ბევრს ეგონა, რომ იტალიის დეცენტრალისტური მიმდინარეობა ნამაღლადევი მოვლენაა, რათგანაც მუსოლინი მალე დარწმუნდება, რომ დღევანდელი სოციალურ-ეკონომიური პირობები თხოულობენ ცენტრალიზაციას,-წერდნენ დემოკრატები. (ქართველ დემოკრატ სოციალისტებს არ ვგულისხმობ, რათგანაც ამ საკითხის გარშემო გამართულ კამათში მათ მხოლოდ უვიცობა გამოააშკარავეს.)

იგივე დემოკრატები, მხოლოდ სხვა ბანაკისა, ამტკიცებენ, რომ იტალიის დიქტატურა უთუოდ მიიღებს ცენტრალიზაციის უკიდურეს ფორმას და სამრეწველო-ეკონომიურ სფეროში დაემყარება სახელმწიფოებრივ მონოპოლიას, და ამაში მონახეს მსგავსება ბოლშევიზმის და ფაშიზმის შორის.

დღეს დემოკრატების ლოღიკა უკვე სახელგანთქმულია; გერმანიაში, მაგალითად, დემოკრატ-სოციალისტებმა დაუპირდაპირეს «კონტრ რევოლუციას» ჯერ ცენტრალიზაცია, რადგანაც მათი აზრით გერმანიის ფედერაცია იყო ნაშთი ძრო შერჩენილი ძველი რეჟიმისა, მაგრამ როცა ჰიტლერის გამარჯვება გახდა მოსალოდნელი, ამავე დემოკრატ სოციალისტებმა დაუპირდაპირეს მას უკვე დეცენტრალიზაცია, და დაამყარეს იმედი იმაზე, რომ გერმანიის კუთხური პოლიტიკა შეეცრმოლება ჰიტლერს. არ გავჩერდებით იმაზედ თუ რამდენი თანხეგი დაიხარჯა გავარიაში ამ მიზნით. მაგრამ თურმე არც ჰიტლერი იყო დეცენტრალიზაციის წინააღმდეგი.

იტალია კი განაგრძობს დეცენტრალიზაციის გაფართოებას. 14 თებერვალს, იტალიის ოფიციალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა მეფის ახალი 5 დეკრეტი ადგილობრივ და პროვინციალურ კორპორატიულ ორგანიზაციების შესახებ. ეს ახალი კანონი აძლევს იტალიურ დეცენტრალიზმს უფრო ფართო მნიშვნელობას და ამით აძლევს უფრო მაგარ საფუძველს რეალურ წარმომადგენლობისათვის. ასე რომ 1934 წელს იტალიის ახალი პარლამენტი მიიღებს რეალურ წარმომადგენლობის კიდევ უფრო მნიშვნელოვან და შესაფერ სახეს.

დეცენტრალიზაციის ნიადაგზედ იტალიაში, უკვე კარგი ხანია აყვავდენ ახალი დაბა-ქალაქები და კულტურულ-ეკონომიური ცენტრები.

გენუა გახდა პირველ ნავთ-სადგურად ხმელთაშუა ზღვაზედ.

ეროვნული სახელმწიფოს ფილოსოფიური საფუძველი არის სწორედ ის, რომ თითოეული მოქალაქე პასუხისმგებელი წევრია ეროვნული ოჯახისა და მზრუნველი საერთო კეთილდღეობაზედ და მაშასადამე ამ ეროვნულად შეგნებულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს პირადი თაოსნობის დიდი ასპარეზიც — ამას ანხორციელებს კორპორატიულ დეცენტრალისტური სისტემა.

მუსოლინის გენიოსობა სწორედ იმაშია, რომ მან შეარიგა კოლექტივიზმის და ინდივიდუალიზმის ცნებანი.

ამაშია შინაარსი გერმანელთა ნაციონალ-სოციალისტური სახელწიფოებისად.

არ გავჩერდებით იმაზედ, რაც ყველამ იცის, რომ დემოკრატიული-ბოლშევიკური კოლექტივიზმი არის შეურიგებელი მტერი ინდივიდუალიზმისა და ეროვნების და არის დედა-ბოძი კლასთა ბრძოლისა. მაგრამ დამარცხებულ დემოკრატების თავმოყვარეობა უფრო ძლიერია მათი აზროვნების ლოღიკაზედ. ზოგს მათგანს ჰსურს მონახოს მსგავსება დემოკრატიზმის და ფაშიზმის შორის.

«ადამიანის თავისუფლება თუ იქნა დაცული დეცენტრალისტურ იტალიაში, იძახიან ისინი, ეს არის ნიშანი, რომ იტალია ძიდის დემოკრატიისაკენო».—ეს არის კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითი დემოკრატიულ პსიქოლოგიისა!

დემოკრატებმა კარგი ხანია დაჰკარგეს საზომი «თავისუფლებისა». მათი პარტიული პარლამენტი ვერ იცავს მოქალაქის რეალურ ინტერესსა და მაშასადამე ვერც მის თავისუფლებას. ამ პარლამენტს აქვს მხოლოდ ფიქტიური კავშირი ხალხთან და პარტიები ბატონობენ მათი საერთაშორისო დოგმების და პროგრამების მიხედვით. ამ პირობებში გასაგებიც არის, რომ მოქალაქე თავის რეალურ ინტერესის დასაცავად ეძებს სხვა საშუალებებს და პროლეტარი შედის კავშირში სხვა ერის პროლეტართან, როგორც კაპიტალისტი სხვა ერის კაპიტალისტთან. ამ მდგომარეობაში კი წარმომადგენლობა იკარგება ეროვნულ, საზოგადო ინტერესზედ; «თავისუფლება» კი მდგომარეობს იმაში, რომ ერის რომელიმე მტერს, კომუნისტს ან სპეკულიანტს აქვს უფლება, თუ დახარჯა საკმარისი ფული, გავიდეს პარლამენტში და ამით უფრო «თავისუფლად» აკეთოს თავისი ბნელი საქმე.

თავისუფლება არის წმინდა იურიდიული ცნება, რომელიც არის დამოკიდებული სახელმწიფოში არსებულ კანონებზედ. დემოკრატებმა ეს კარგად იციან, რათგანაც მათ ქვეყნებშიც არსებობენ ხატუსალოები, და «თავისუფლებით» ისინი თამაშობენ მხოლოდ სადემაგოგიო მიზნით.

იტალიის მოქალაქის თავისუფლება დაცულია რეალურ წარმომადგენლობის საშუალებით და იმითაც, რომ კომუნისტ-სოციალისტ-სპეკულიანტს და ეროვნების სხვა მტრებს არც აქვთ უფლება არსებობისა.

ფრანგული ჟურნალი «რევიუ მონდიალი», თავის, აპრილის ნომერში გვაძლევს უტყუარ სტატისტიკას იმ უსაართლობაზედ, რომელსაც სჩადის პარტიული პარლამენტი. საფრანგეთში თურმე ბატონობს მხოლოდ საფრანგეთის განსაკუთრებული კუთხე, რომელიც აწარმოებს კუთხურ პოლიტიკას საერთო ეროვნულ ინტერესების საწინააღმდეგოდ. ეს ჟურნალი ამტკიცებს, რომ საფრანგეთში პარტიული ბატონობა მუდამ უდრის კუთხურ ბატონობას. გასაგებიც არის, რომ ამ ქვეყანაშიც დეცენტრალისტური და კორპორატიული პროპაგანდა ძლიერდება ყოველი დღით. პარტიული და კუთხური ბატონობა ჩვენც მწვავედ განვიცადეთ დემოკრატიულ რესპუბლიკის ჟამს.

ამგვარად, თუმცა ბევრი დღესაც ოცნებობს ამგვარი წარსულის დაბრუნებაზედ, მაგრამ ქართველი საზოგადოება ადრე თუ გვიან დასვამს საკითხს, საერთაშორისო მდგომარეობის აწონ დაწონვისა და შესაფერი საზოგადოებრივი აზრის შექმნისა.

და ის მიხვდება, რომ არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით ქართველ ძალთა აღომრავება დღეს არ შეიძლება მოხდეს დემოკრატიზმის ნიადაგზედ. თუ ზოგიერთებისათვის დემოკრატიის და ფაშიზმის ურთიერთობა ჯერ არ არის მთლად გამორკვეული, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ქართველ პატრიოტთა დიდი უმრავლესობა მაინც მონახავს საერთო ენას, საერთო მტრის, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. და ეს იქნება გზა თეთრგიორგული.

გიორგი საფარელი.

## განმარტება

გაზ. «თ. გ.» 61 №-ში გამოვსთქვი აზრი მთავრობასთან თანამშრომლობის შესახებ. ამის გამო ათზედ მეტი წერილი მივიღე, როგორც თ.-გიორგელთა, აგრეთვე გარეშე პირებითგან. ამ წერილების საერთო შინაარსი შემდეგია: „შე დალოცვილო, მთვარითგან ხომ არ ჩამოვარდნილხარ, ქართულ საქმეებში რომ ვერ ერკვევი? ნუ თუ აქამდე ვერ დარწმუნდი, რომ მენშევიკურ მთავრობას, ხელითგან, არავითარი მამულიშვილური საქმე არ გამოუვა? მაშ რაღა თანამშრომლობაზედ შეიძლება ლაპარაკი?“ უნდა მოგახსენოთ, ჩემო ძვირფასო მეეპისტოლენო, რომ ცამდე მართალნი ბრძანდებით. თქვენ პირს შაქარი! მაგრამ მე კი ისეთი ტეტია და ხეპრე ვინმე ვარ, რომ ასეთი მარტივი ჭეშმარიტება ვერ შემეგნოს? მართლა მთვარითგან ხომ არ ჩამოვარდნილვარ, ან ტრაპიზონელი თათარი ხომ არა ვარ! შიგ შუაგულ ქართლში ვარ დაბადებული და, როგორც ყოველმა ქართველმა, მეც კარგად ვუწყი, თუ რა წითელი კოჭები ბრძანდებიან კარლ მარქსის ქართველი ბარტყები. ქართული ანდაზა: «ვერ გათეთრდების ყორანი, რაც გინდ რომ ხეხო ქვიშითა»-ო განა მე კი არ გამიგონია! დიდი აღმაშენებლის მემატიანეს სიტყვებიც: „არა განიწმიდების კუდი ძაღლისა“-ო კარგად მახსოვს. ისიც ვიცი, რომ ქრისტე მაცხოვრის მიერ ნაბრძანები: „აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში ვიდრე მდიდარი შევა სასუფეველში“-ო, მენშევიკების მამულიშვილობაზედ ზედ გამოჭრილია. „კვიცი გვარზე ხტისო“, ნათქვამია, და აბა მარქსის შოლტით დაგეშილი კვიცი, რომ ეროვნულ გზებს ვერ გადასთელავს, არამედ კომუნიზმისაკენ წაჩანჩალდება, განა ამას მტკიცება სჭირია!?

ყოველივე ეს ვიცი. მაგრამ, მაინც, დავსწერე ჩემი ზემოდ აღნიშნული წერილი, რატომ? — აი განმარტება.. — საქმე იმაშია, ზოგიერთი ფრიად საპატიო ქართველი დღემდე დარწმუნებულია, რომ ჩვენ, ე. ი. თ.-გიორგელები, მთავრობასთან თანამშრომლობას რაღაცა ჭინიანობით გაურბივართ. გავჭირვეულდით რაღა! ერთი სიტყვით, შევაგდეთ ქვა და შეუშვირეთ თავი! ამიტომ მე მოვისურვე დამემტკიცებია პატივცემულ პირთათვის, რომ ჩვენი ასეთი საქციელი უბრალო ჭირვეულობით კი არაა გამოწვეული, არამედ და მხოლოდ საბუთიანი და საფუძლიანი მოსაზრებებით.

საკითხი პირდაპირ დავსვი: შესაძლებელია თანამშრომლობა იმ პირებთან, რომელნიც მეორე ინტერნაციონალის განკარგულებაში იმყოფებიან, მაშინ როდესაც ამ დაწესებულების მიზნები ქართველ საქმეს ეწინააღმდეგებიან? შესაძლებელია თანამშრომლობა იმ პირებთან, რომელთა საქმიანობა საქართველოსათვის მავნეა? და პირდაპირვე მოვახსენე მენშევიკურ მთავრობასა: „აიღეთ ხელი მეორე ინტერნაციონალთან თანამშრომლობაზედ; დადექით წმინდა ეროვნულ ნიადაგზედ; დაგვიმტკიცეთ, რომ ეროვნულ საქმეს გულწრფელად შეუდგებით და თუ გნებავსთ თავზედ დაგისვამთ. სამშობლოს გულისათვის მზათა ვართ დამცირებაც კი ავიტანოთ. ხოლო ჩვენ პოლიტიკური ჩარჩი ასათიანი ან რუსის პატრიოტი გაბაშვილი როდი ვართ, რომ რაღაცა ვეზირის აჩრდილის ხარისხის ბოძებით და რვა ასი ფრანკიანი ჯამაგირით წაგვიტყუოს ვინმემ. სამშობლოს საქმეს ყოველი თ.-გიორგელი უანგაროდაც ემსახურება. მაგრამ დავით კურაპალატის გვირგვინიც რომ დაგვადგან, გინდ დიდი მოღოლის ალმასიანი ჯილა, ან თუნდაც აჯემ-არაბეთის სოვდაგარის თვალ-მარგალიტები შემოგვთავაზიან, მაინც საქართველოსათვის მავნე საქმეს ვერავინ გაგვაკეთებინებს.

თ.-გიორგიელებმა კარგად ვიცით, რომ ბ-ნ ჟორდანიას ნაზირ-ვიზირები, ჩვენ მიერ დასმული პირობების შესრულებას ვერ შესძლებენ და არც მოისურვებენ. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“-ო.

ჟორდანიას მთავრობასთან თანამშრომლობას თვით მენშევიკებიც კი, რომელთ კიდევ შერჩენიათ სამშობლოს სიყვარულის მცირე ნატამალი, ისინიც გაურბიან. არიან კიდევ ბობოლა მენშევიკები, რომელნიც დღესვე ახმეტელის კვალს გაჰყვებოდენ, მისი ვაჟკაცობა რომ გააჩნდეთ და ადგილებ-ჯამაგირების დათმობა რომ გაჰბედონ. დიახ, და თუ თვით მენშევიკები გაურბიან მენშევიკური მთავრობის ვერაგობასა, აბა თეთრი-გიორგი როგორ მოისურვებს მასთან თანამშრომლობას.

ცხადზედ უცხადესია, რომ დღეს თუ ხვალ, ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები საბოლოოდ გაერთიანდებიან. დღეს იგინი, ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, უკვე თანამშრომლობენ. „მელას თავისი მხარჩობელა უყვარს“-ო. ეს ანდაზა სულელ ხალხზედაა ნათქვამი და ჩვენ კი ღვთით ჭკუათ-მყოფელნი ვართ და არა სულელნი რომ ჩვენსავე მტრებს დავუკავშირდეთ. გარდა ამისა ამა თუ იმ პარტიას რომ დავუკავშირდეთ ან მისი აზროვნება უნდა იყოს ანგარიშ გასაწევი ან მისი ძალა. ხოლო ვინ არ უწყის, რომ მარქსისტული აზროვნება დიდი ხანია ... ცელებლივ გაიხრწნა. ძალა კი აღარც ქართველ და აღარც უცხოელ სოციალ-დემოკრატებს შესწევთ. მარქსიზმს დამარხვა ღა აკლია თორემ, დამიჯერეთ, უკვე მკვდარია. მსოფლიოშიც და ჩვენშიც მენშევიკ-კომუნისტებს ნაციონალიზმი მალე დაასამარებს, ან იობივით სადმე ნაგავზედ მიაგდებს და ისე იბოგინებს კიდევ ცოტახანსა. ეროვნულ-დემოკრატები, რომ დაუკავშირდენ მენშევიკებსა რომ იტყვიან: „მკვდარი მკვდარს აეკიდა“-ო, მხოლოდ ეს არის და სხვა არაფერი.

მარქსისტებმა ბურთი და მოედანი ასე ადვილად იმიტომ ჩაიგდეს ხელში, რომ აქამდე მოწინააღმდეგედ, ყველგან და საქართველოშიც, მხოლოდ მტირალა და გაუბედავი ლიბერალები ჰყავდენ და გაიმარჯვებდენ, აბა რა იქნებოდა? „ერთმა კომბლიანმა კაცმა ცხრა მეჭურჭლეს აჯობა“-ო, იტყვიან ხოლმე ქართველები. მაგრამ ჟამნი იცვალენ. დღეს მარქსიზმის წინაშე, მტირალა ლიბერალ-დემოკრატების მაგიერ, თვით ერის ძლიერი და ახოვანი სხეული აღიმართა!! და ხომ ნახეთ, ბატონებო, მენშევიკ-კომუნისტებმა თავგვის სოროები როგორ მოანახეს?!! დიახ: „შიშს გრძელი ფეხები აბია“-ო, ნათქვამია.

ვიმეორებ: მე ჩემი წერილით, მხოლოდ ზემორე აღნიშნულ, დარბაისელ ქართველთათვის მსურდა მეთქვა, რომ თუ მენშევიკურ მთავრობას გულწრფელადა სურს ქართველ ძალების დაკავშირება, ეს ბურთი და ეს მოედანი! გამობრძანდენ ეროვნული მოღვაწეობის ასპარეზზედ, რათგან მხოლოდ და მხოლოდ ამ ასპარეზზედაა შესაძლებელი და მიზანშეწონილი ქართველი ძალების თანამშრომლობა. თუ არა სურთ და კისერიც მოუტეხიათ! ცხოვრებამ მაისც მოსტეხა მათ კისერი.

ჩვენ კი ჩვენი გზა გვაქვს. გზა სრული ნაციონალიზმისა. ამ გზით, ამ ნაციონალიზმის ნიადაგზედ გაიმარჯვებს კულტუროსანი კაცობრიობა და მასთან ერთად თ.-გიორგიც. ვინც დღესაც კი ამ სინამდვილეს ვერა ხედავს იგი ან ჯიუტია ან ბრმაა. ხოლო ნათქვამია: „ჯიუტი ადამიანი ქრისტეზედ იტყვის უარსა“-ო და „ბრმა ისე ჩავა სამარეს, ვერ ნახავს სხივსა მზისა“-ო.

სოლომონ მაჭავარიანი.

## ჟორდანიას მთავრობა და ემიგრაცია

თუ, ოდესმე, რომელიმე ემიგრაციას, რაიმე როლი ჰქონია დაკისრებული, ეს უწინერეს ითქმის დღევანდელ ქართველ ემიგრაციაზედ. დღეს საქართველოში შექმნილი პირობები ერს ნებას არ აძლევს, თავისი სახელით, საგარეო პოლიტიკაში ჩარევისა, ამიტომ ის ემიგრაციაზედ ზოგიერთ იმედებს ამყარებს. რა ძალებით შეეძლო ემიგრაციას ამ იმედების გამართლება?..

ემიგრაციაში იმყოფება საქართველოს ყოფილი ეროვნული მთავრობა. საფრანგეთში ჩვენ გვაქვს ოფიციალურად არსებული ხაზინა. აქვე იმყოფება საკმაო ნაწილი ჩვენი პოლიტიკური და კულტურული საზოგადოებისა: პარტიები, მხედრობა, მეცნიერები, ახალგაზრდა სტუდენტობა და სხვ. ე. ი. ამ მხრივ ჩვენი ემიგრაცია იმყოფება იდეალურ პირობებში. ჩვენ გვაქვს ყოველნაირი ძალები, ხოლო საჭირო იყო მისი გამოყენება.

ეს კი უნდა შეესრულებინა ყოფილ მთავრობას და ამით მისი პრეტენზიაც გაემართლებინა. მას უნდა შემოეკრიბა ყველა სასიცოცხლო ძალები, ყველა წრეებითგან, და ეროვნული საქმისათვის უნდა დაეკავშირებინა ყველა შესაფერისად მომზადებული და მოქმედი პიროვნება. მას უნდა შეექმნა ემიგრაციაში ორი მთავარი ცენტრი: ერთი პოლიტიკური და მეორე კულტურული, და მათ გარშემო გაერთიანებულიყო მთელი ემიგრაცია.

ახსნა ზედმეტია, თუ რა მნიშვნელობა აქვს უცხოეთში კულტურულ პროპაგანდას, უცხოელთა გაცნობას ჩვენი დიდებული წარსულისადმი. აქვე უნდა მომზადებულიყო შემდეგისათვის ჩვენი ახალგაზრდობის მომზადება, გაწვრთნა და ქვეყნისთვის სათანადო ცოდნით აღჭურვილ მოღვაწეთა კადრის შექმნა. კულტურულ და მეცნიერულ ძალების საშუალებით ნელ-ნელა უნდა დამუშავებულიყო და გამოქვეყნებულიყო (ყველა ენებზედ) ჩვენი ერის ვრცელი ისტორია; უნდა შეექმნა მთელი ლიტერატურა, ჩვენი კულტურის, ხელოვნების და ეკონომიკის საკითხებზედ. ე. ი. ჩვენ უნდა განგვეხორციელებინა ლიტერატურის მთლიანი პროგრამა.

და ჩვენდა სავალალოდ, ჩვენი ზნეობრივი, კულტურული და ეროვნული დაცემა იმით ნათელვჰყავით, რომ ასეთმა მრავალ რიცხოვანმა ემიგრაციამ, ცამეტი წლის შემდეგაც, ერთი წიგნი ვერ გამოაქვეყნეთ ევროპაში, რომლითაც უცხოელებს გავაცნობდით ჩვენს ისტორიას. ერთი წიგნით მაინც ვერ გავაცანით ჩვენი ვინაობა თუნდაც იმ ხალხ, რომელთაც 13 წლიწადი იკისრეს თავიანთ მიწაზედ ჩვენი შენახვა. ამ სამწუხარო ამბის გვერდით ის სისაძაგლეც ხდებოდა, რომ ჩვენი მთავრობა უშველებელ ტომებს აქვეყნებდა სოციალიზმზედ, ინტერნაციონალზედ, დემოკრატიაზედ და სხვა, და მასზედ ფლანგავდა ეროვნულ ქონებას...

ძალაუნებურად გვაგონდება საბერძნეთის აჯანყება. როდესაც გერმანთა რაზმები ბრძოლის ცეცხლში იყვნენ გახვეულნი, აქ, ევროპის სტუდენტობა, აღფრთოვანებაში იყო მოსული, და ჰომეროსის და არისტოტელის სამშობლოს თანაგრძნობისათვის აწყობდენ ათასგვარ დემონსტრაციებს. მხარს უჭერდენ მებრძოლთ: ფულით, სიტყვით, იარაღით.

პოეტები და მხატვრები მიეშურებოდნენ დახმარებისათვის, რათა ხელოვნების ეს უცნაური ქვეყანა ენახათ თავისუფალი. ევროპაში შექმნილ ამგვარ ხელისკვეთებამ მაშინ დიდი გავლენა იქონია ევროპის საზოგადოებრივ აზრზედ და პოლიტიკის სასწორი ხრიდა ბერძენთა სასარგებლოდ.

ასევე ღრმადა გვწამს, რომ რუსთველის და თამარის დროის ჩვენი კულტურის პროპაგანდა, არ იქნება უნაყოფო ჩვენ პოლიტიკურ საქმეშიც, და ეს დიდი როლი კი უნდა აღესრულებინა აქ კულტურულ ცენტრს.

პოლიტიკური ცენტრი უნდა ყოფილიყო, ეს მეორე, პარლამენტი, სადაც უნდა დამუშავებულიყო ყველა საკითხები ჩვენი ეროვნული პოლიტიკისა, და რომელსაც უნდა გაეწია ხელმძღვანელობა საქართველოს განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. ჩვენ, რომელთაც დიდი ხნით დაკარგული გვქონია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, განვიცადეთ და განვიცდით ეროვნულ სახელმწიფოებრიობის იდეათა უქონლობას, კრიზისს. ჩვენი უკანასკნელი ნახევარ საუკუნის წარსული დანისლულია შავბნელ პარტიული ქიშპობით. და დამოუკიდებლობის მეორედ დაკარგვის შემდეგ მაინც უნდა გვეგრძნო ჩვენი მოღვაწეობის ეს დიდი ნაკლი. ეს საკითხი სასტიკად უნდა დაგვესვა ჩვენი მოქმედების დღის წესრიგში და მეტიც, ჩვენ დროებით მაინც უნდა დაგვეძლია ან შეგვენელებია პარტიული დავა, და თავისუფლება დაკარგული ხალხი ამ საერთო იდეების გარშემო დავბანაკებულიყავით.

ეს უნდა ყოფილიყო ერთ მიზანთაგანიც აქ შექმნილი პოლიტიკური ცენტრისა. ამგვარად აქ უნდა მომხდარიყო ჩვენი ბეცი და ცალმხრივი პოლიტიკური აზროვნების სრული გარდაქმნაც, ჩვენი სათანადო მომზადება, ან და თან ამაღლება საერთო სახელმწიფოებრივი იდეალის სიმაღლემდე არა მარტო თეორიულად, არამედ ის უნდა განსახიერებულიყო უცხოეთში, ჩვენს მოქმედებაში.

მაგრამ რა ხდება მის ნაცვლად?!! ემიგრაციამ არამც თუ ვერ განახორციელა ყველა ზემოდ აღნიშნული, თვით ცალკეული მოქმედება სავსებით მის წინააღმდეგ წარმართა. დღეს ევროპაში გამოდის ჩვენი პოლიტიკური პარტიების 5-6 ორგანო და რომ თვალი გადაავლოთ მას თავითგან ბოლომდე, იქ იდეური მწერლობის ნატამალს ვერ ნახავთ. მთელი მათი ენერგია იმას უნდება, რომ ერთი მეორეს პროვოკატორობა დაუმტკიცონ. მათი ყოვლად ჩამორჩენილი და უშინაარსო კამათი, მხოლოდ იმის გარშემო ტრიალებს, რომ ერთ პარტიას მეორე პარტიის ლიდერის შავი ფერი არ მოსწონს, და მეორეს პირველის მსუქანი კისერი, აი სამარცხვინო ფაქტი, ლიდერების მიერვე კრებაზედ წარმოთქმული.

უცქერით ამ სანახაობას, გეცინებათ, და თან გული გიღონდებათ. ნუ თუ ასე განქრა ზნეობა და სინიდისი ქართველობაში, რომ იმ ადამიანებს, რომელნიც დღე და ღამე ქვეყნის მესაჭეობაზედ ოცნებობენ, ელემენტალური ზნეობრივი ნორმებიც კი ვერ დაუცავთ და ასე სამარცხვინო მაგალითს აძლევენ ჩვენს თაობას. — ნუ თუ ასეთ გადაგვარებამდე მივიდა ის სპეტაკი და დარბაისლური სული ქართველისა, რომელიც საუკუნეებით ამკობდა ჩვენს ეროვნულ სხეულს.

სად განქრა ის დიდი გრძნობა ურთიერთის პატივისცემის, რომელსაც ჩვენი ყოველი მტერი განცვიფრებაში მოჰყავდა.

სად განქრა ის დიდი მამულიშვილობა, რომელსაც ქართველი ყოველ გასაჭირში იჩენდა და პირად ბედს სამშობლოს ბედს ანაცვლებდა ხოლმე. სად დაიკარგა ის რაინდობა, რომელსაც ქართველი, თანამემამულის კი არა, მოსისხლე მტრის წინაშეც ლმობიერებაში და პატიებაში ხატავდა. რაში დაიშრიტა ის დიდი ნიჭი და განუსაზღვრელი ენერგია, რომელსაც ქართველი თავის ქვეყნის აღშენებლობის გარდა, უხვად ჰფანტავდა: სპარსეთის, ინდოეთის, ანატოლიის და რუსეთის მიდამოებში. სად არ დაუტოვია ქართველს თავისი შემოქმედების კვალი. სად არ ყოფილა ის გამოჩენილი და საპატიო. ძველი სპარსეთის ტახტსა და თითქმის მთელ სახელმწიფოს ქართველები განაგებდნენ. მათ ჯარსა და ადმინისტრაციას ყოველთვის ქართველები ხელმძღვანელობდნენ. მონღოლთა მრავალი გამარჯვებანი ქართველთა წინამძღოლობით ხდებოდა. ოსმალეთის სამინისტროს სამ მეოთხედს, ქემალის ნაციონალურ რევოლიუციამდე, ქართველები შეადგენდნენ. რუსეთის საუკეთესო გენერლები ყოველთვის ქართველები იყვნენ. ასეთ ენერგიას იჩენდნენ ქართველები წარსულში. მართალია, ბევრჯერ ეს დიდი ნიჭი და ენერგია, გარედ გამოჩენილი, უსარგებლო ყოფილა ქართველი ერისათვის, ხშირად მავნე როლიც უთამაშნია, მაგრამ ის მაინც ფაქტია, რომ მათში ნიჭი, ენერგია და მოქმედების უნარი ყოველთვის იყო. დღეს კი ქართველობა სხვათა სამსახურში ვერ აზერხებს საკუთარი ძალების გამომჟღავნებას. ხოლო მასში ეს ნიჭი არის და პოლიტიკური ცენტრის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო, ის გამოეაშკარავებინა და დაეკავშირებინა ქართული საქმისათვის.

მაგრამ შეასრულა ყველა ეს ჩვენმა მთავრობამ?!

ცნობილია, რომ ჩვენი მთავრობა, რომელიც შესდგება მხოლოდ მენშევიკებისაგან, თუ პარტიული მოღვაწეობის დროს იდგა ანტი-ეროვნულ პოზიციაზედ, ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ჩადგა ანტი-სახელმწიფოებრივ ნიადაგზედ. დამოუკიდებლობის დროითგან დაწყებული აქამდე განაგრძო მან პარტიული პოლიტიკა და პარტიის იდეალებს ანაცვალა ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც ჟორდანია დარჩა მხოლოდ პარტიის კაცად და ის ვერ ავიდა ეროვნული ღირსების სიმაღლეზედ.

როდესაც ჟორდანიის მთავრობა ემიგრაციაში გამოვიდა პირველად, მის ყოველ მოწოდებებს, მთავრობის ტიტულებთან ერთად, პარტიული ხარისხის ეპიტეტებიც ამშვენებდნენ. და ამ დღემდე ეს მდგომარეობა არ შეცვლილა. უფრო სამწუხარო ის არის, რომ მთავრობაში ერთი წევრიც არ აღმოჩნდა სინიდისიერი, შეგნებული და გამბედავი, რომ ამგვარი მოღვაწეობისათვის ზურგი შეექცია და სასტიკად შებრძოლებოდა ჟორდანიის პოლიტიკას. უკანასკნელად, გ. ახმეტელის გამოსვლა არის ერთი საუკეთესო ნიმუში ჟორდანიას მთავრობის ანტი-ეროვნული, ანტი-სახელმწიფოებრივი და ვერაგული მოქმედებისა. ჟორდანია ვერ ავიდა ეროვნული ინტერესის სიმაღლემდე, ვერ შესძლო თვით პრეზიდენტის ღირსების დაფასება, ის დარჩა ბოლომდე შეურიგებელი მტერი ყოველივე ეროვნულის, და თვით პარტიაშიც არჩია, დარჩენილიყო ლანჩხუთის უჯრედის მამასახლისად.

ამგვარად ჟორდანიას მთავრობამ აქ, უცხოეთში, არამც თუ რაიმე შესძინა დაბყრობილ საქართველოს, არამედ მისი სახელი დასცა და ქართველი ერის მრავალ საუკუნეთგან რაინდობას, მამულიშვილობას და ქედმოუხრელობას, სილაჩრისა, უვიცობისა და ვერაგობის პროპაგანდა გაუწია.

ჟორდანიას პატარა კაცობის ლოღიკური განვითარება იყო ის ამბავიც, რომ ის პარტიის ნაჭუჭში ჩაჭედილი, არა მარტო მოპირდაპირე პარტიებს ებრძვის მიუღებელი საშუალებებით, არამედ მან იგივე ბრძოლა თავის ძველ პარტიულ ამხანაგებსაც გამოუცხადა. თავისი ყოფილი თანამშრომელნი, მინისტრები და პარტიული ამხანაგები: ირ. წერეთელი, ლ. ახმეტელი და ე. გეგეჭკორი დაასმინა საქართველოში, მოღალატეებად და ჯაშუშებად გამოაცხადა. სამოწყალო საბუდარზედ შემომჯდარმა, ყველას უმოწყალო ბრძოლა გაუმართა, ვინც კი მის მოღალატეურ მოქმედების წინაშე ხმა აიმაღლა. ყველა ეს მოწინააღმდეგენი კი, იმავე სულით აღზრდილნი, იქამდე სუსტნი აღმოჩნდენ, რომ ვერც ერთმა მათგანმა არსებითი ნაბიჯი ვერ გადადგა ჟორდანიას სამამასახლისოს წინააღმდეგ. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მენშევიკური პარტიის ახალგაზრდობა მაინც შესძლებდა ამ სიძნელეთა გადალახვას, მაგრამ ესეც არ გამართლდა. უკანასკნელად მართლაც მოხდა მოწინავე ახალგაზრდობის ჩამოცილება ჟორდანიას ჯგუფისაგან. ისინი არ იზიარებენ ჟორდანიას პოლიტიკას. მათ ეს საჯარო გამოსვლებით თითქოს დაამტკიცეს. მაგრამ მენშევიკურ აღზრდამ არც მათ მისცა ნება შესაფერი გამბედაობის, ვერც მათ შესძლეს ჟორდანიასაგან საბოლოო განდგომა, მხილება ჭეშმარიტების, სწორი გზის არჩევა და გადამწყვეტი ბრძოლის მიცემა, და ყველაზედ მეტად, ეს ხალხი, კვლავ იმის ლოდინშია, რომ როგორმე თავის პარტია გაამრთელოს. და ამით ისინი საფლავს უთხრიან მათი ახალგაზრდობის იმ საღი ნაწილის მომავალსაც, რომელსაც მენშევიზმის აღსასრულის შემდეგ კიდევ შეეძლო ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის რაიმე როლი ეთამაშა. ხოლო თავის თავად ეს ფაქტი მოწმობს, რომ მენშევიზმი უნდა დასამარდეს მთლიანად მისი ყველა განხრებით: და ეროვნული საქმეც მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს.

ვერც სხვა ე. წ. მემარჯვენე პარტიებმა შესძლეს ბოლომდე შებრძოლება ჟორდანიას მთავრობის დამღუპველ პოლიტიკასთან. ისინიც მალე მიიტყუეს. ზოგმა ადრე, ზოგმა გვიან ყველამ ჟორდანიას ზურგზედ მოიყარა თავი. და ამ ლაჩრულ საქციელს იმით მართლებენ, რომ მათ არ სურთ ეროვნული ქონების გაფლანგვის საქმე მარტო ჟორდანიას აქარას დასტოვონ, არამედ მათაც უნდათ იყვნენ ამაში მონაწილე, და ეს ეროვნულ საქმედ მიაჩნიათ.

ამგვარად მოაზროვნენი ეკუთვნიან იმ წრეებს და პარტიებს, რომელთაგან, ზოგს წინად, ზოგიერთი დადებითი როლი მაინც უთამაშია ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში, ხოლო დღეს, მათი იდეები, ის რაც მათ ორგანიზაციული არსებობის უფლებას ანიჭებდა, მიმქრალია ან ისტორიას ჩაბარებული. მხოლოდ ფიქტიური სახელწოდებებით თავი შეუფარებიათ ჟორდანიას ფარში და ორიოდე გროშისთვის იქ იჩრდილავენ თავს.

დღეს, ჩვენი ახალი თაობისთვის უთუოდ კარგი გაკვეთილი იქნებოდა, და მომავლისთვის მისაბამი მაგალითი, რომ ჩვენს არა მენშევიკური პარტიების ლიდერებს პარიზის თვითმართველობითგან მიეღოთ უმუშევრობის დახმარება (secours de chômage), და მცირე ნივთიერი სახსრისათვის, ასე იაფად არ მიეყიდათ სინიდისი და პატიოსნება ჟორდანიის «ფრონტისათვის». ამათგან ზოგმა უფრო დიდი დანაშაულიც ჩაიდინა ეროვნული საქმის წინაშე, ჟორდანიას მაშინ შეუდგა მხრებში სვეტად, როცა უკანასკნელი დაცემული და სასიკვდილოდ განმზადებული იყო.

ასეთია ჩვენი პოლიტიკური წრეების საქმიანობა.

ვერც ერთ მათთაგანმა ვერ შესძლო პარტიული პოლიტიკის დაძლევა. ე. წ. მემარჯვენეები სუსტნი აღმოჩნდნენ, ემლიათ მენშევიკები, და ბოლოს ისევ ყმობა გამოუცხადეს. ხოლო მენშევიკურმა მთავრობამ, რომელიც იმავე დროს არის პარტიის ცენტრალური კომიტეტი, არამც თუ არ იკისრა ერის დიდი მისიის აღსრულება, არამედ ბოლომდე მის მტრად დარჩა.

ასეთ ყოფაში გამოვიდა თეთრი გიორგი თავისი დიდი ეროვნული იდეებით და წინა აღუდგა პოლიტიკურ პარტიათა დამღუპველ მოქმედებას, დღეს ერთად ერთი თეთრი გიორგია, რომლის მთელი მოქმედება პირწმინდად საქართველოს განთავისუფლებასა და ერის იდეალებს ემსახურება. თეთრი გიორგი ითვალისწინებს რა ჩვენი პოლიტიკური პარტიების ზემოდ აღწერილ მდგომარეობას, მას უნაყოფოდ მიაჩნია რაიმე ანგარიში გაუწიოს მათ, საქართველოს განთავისუფლების საქმეში. მას სწამს, რომ ისინი მხოლოდ ხელს შეუშლიან.

ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ საქართველოს განთავისუფლება მხოლოდ თეთრ-გიორგულ მოძრაობას შეუძლია. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენს ერს განთიადისა და დიდების მზეს, მხოლოდ თეთრ-გიორგული ნორჩი ძალა მოუვლენს.

ჩვენი იდეური გზა არის ინტეგრალური ნაციონალიზმი.

ჩვენი მიზანია საქართველოსთვის ინტეგრალური დამოუკიდებლობის მოპოება და ეროვნული აღორძინება.

ამის განხორციელებისთვის თეთრი გიორგის დროშის ქვეშ ირაზმება დღეს მთელი ქართველი ერი. ხოლო ახალგაზრდობა გამოდის მის ხელმძღვანელად.

ჩვენ ვცდილობთ უცხოეთში ყველა გამოსადეგ ძალებთან კავშირში შევიდეთ და ყოველ საჭირო დროს ვისარგებლოთ მათი დახმარებით.

ჩვენმა, ე.წ. ეროვნულმა, მთავრობამ და პოლიტიკურმა პარტიებმა სახელი გაუტეხეს და ყველგან დაახშეს ქართული საკითხი.

თეთრი გიორგი ნელ-ნელა სწმენდს მათ მიერ ავსებულ სიბინძურეებს და ამზადებს ნიადაგს ქართული საკითხის მორიგ-დაყენებისათვის.

ის რაც ვერ შესძლეს მთავრობამ და პარტიებმა ამას შეასრულებს თეთრი გიორგი.

თეთრმა გიორგიმ იკისრა ყველაფრის გაკეთება. ის შესძლებს ნელ-ნელა შემოიკრიბოს ახალგაზრდობა, ყველა საჭირო ძალები და დაუკავშიროს საქართველოს განთავისუფლების საქმეს.

თეთრი გიორგი მის რქით ვერ ხედავს ისეთ ორგანიზაციულ დაჯგუფებას, რომელთაც შეეძლოთ ამ დიდი საქმეში რაიმე დახმარება აღმოუჩინოთ. ამიტომ ის უგულებელყოფს ყველგვარ ფიქტიურ თანამშრომლობას და მთელ თავის მოქმედებას ამყარებს მის საკუთარ ძალთა განზომილებაზედ. ამ მხრივ თეთრი გიორგი დარჩება ყოველთვის, [illegible] და ყველაფერში უკომპრომისო. ასეთია ჩვენი ტაქტიკა.

თეთრი გიორგის უმაღლესი იდეური და ზნეობრივი იდეალი იყო და დარჩება — ერის ყველა სასიცოცხლო ძალების ერთად თანამშრომლობა ისეთ დიდ საერთო იდეალისათვის, როგორიც არის საქართველოს განთავისუფლების საქმე. თუ კი ყველა მონაწილე მის უზენაესობას მიიღებს და უყოყმანოდ შეასრულებს. მაგრამ სამწუხაროდ, სინამდვილე უფრო ულმობელია და კეთილ სურვილებს არ [illegible]. ჩვენ არა ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენი ძველი პარტიები ვერ შესძლებენ აქამდე ამაღლებას. სოციალისტები ამ საკითხს ვერასოდეს მიიღებენ [illegible] პრინციპად. ხოლო, ე. წ. სხვა მემარჯვენეები კი მათ ყოლობას ვერ მოიშლიან. ამიტომ იმათ საქართველოს ბედს მათ ამარას ვერ დავტოვებთ. და საქართველოს განთავისუფლებისთვის ზრუნვის გვერდით, ძველი პარტიების სრული განადგურება ერთ საშუალებად უნდა დავისახოთ.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ ძველი ჭაობები, რაგინ [illegible] და დამპობილებულნი არ იყვნენ ისინი, შეეჩერებინოთ ახალი მოძრაობის ტალღები.

ჩვენთვის ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ თეთრი გიორგი გაიმარჯვებს. და ეს გამარჯვება იქნება ქართველი ერის გამარჯვება. ეს ჭეშმარიტება დღეს ყოველი თვალ ხილული ადამიანისთვის ნათელი უნდა იყოს. ყველამ უნდა იცოდეს ის ფაქტები, რაც დღეს [illegible] ხდება ერთი მხრივ და მეორე მხრივ საქართველოში.

დღეს მთელ მსოფლიოში იმარჯვებს ინტეგრალური ნაციონალიზმი ანუ ფაშიზმი. ჩვენი იდეური დოქტრინა დღეს მსოფლიო პოლიტიკურ აზროვნებაში დაყენებულია აქტუალურ საკითხად. ევროპა შედის დიდი ეროვნული გარდაქმნის, ნაციონალური რევოლიუციის ხანაში. აღმოსავლეთიც მის გზას ადგია.

თვით საქართველოში ქართველ კომუნისტებშიც კი დიდ ეროვნულ მოძრაობას აქვს ადგილი. ერის [illegible] ხოლო დიდი ხანია ამ ღელვას განიცდის. ამგვარად, საგარეო და შინაურ ვითარებათა ასეთი შეხვედრა ქართველი ერის ბედს თეთრი გიორგის ხაზით [illegible] ფოკუსში აქცევს.

ეს უნდა იცოდეს დღეს ყველა წერა-კითხვის მცოდნემ. ხოლო ახალგაზრდობამ, რომელსაც ეკუთვნის უმთავრესად ჩვენი დიდი ეროვნული მოძრაობა, ეს გრძნობითაც უნდა გაიცნოს. თეთრი გიორგის მოქმედება დღეს გადამწყვეტი მოქმედების ფაზაში შედის. და არც ის დრო არის შორს, რომ მისი შედეგები ხორცშესხმულნი მოევლინებიან ქართველ ერს. ამიტომ, დღეს უფრო მეტად, ყოველი ქართველი ახალგაზრდა, ვისაც კიდევ შერჩენია სულიერი სიმტკიცე და მამულიშვილური გრძნობა, სრული გამბედაობით და სიამაყით უნდა დადგეს თეთრი გიორგის დროშის ქვეშ.

მდგომარეობა ჩვენ არ გვიცდის. ჩვენი დრო ფიქრსაც ვერ იტანს დრო საჭირია...

ა. მანველიშვილი.

---

ბ-ნო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენ პატივცემულ ორგანოს უახლოეს ნომერში შემდეგი:

ამა წლის 8 იანვარს, ქ. პარიზში შესდგა დამფუძნებელი კრება საფრანგეთში მყოფ ქართველ ყოფილ მეომრების, რომელმაც მიიღო და დაამტკიცა საზოგადოების წესდება და აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია. საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა გენ. შტაბის პოლკ. [illegible] ცაკაია. გამგეობაში არჩეულნი: მაიორი სოლ. ხალ[illegible]ტანიშვილი, მაიორი დიმ. ანანიაშვილი, მაიორი აკ. კვიტაიშვილი, ლეიტ. მიხ. დადიანი. სარევიზიო კომისიაში კი: პოლკ. ფრ. წულუკიძე, ლეიტ. სიმ. [illegible], ექიმი იაკ. სოჭოლავა.

საზოგადოების სახელია: l'Association des anciens combattants géorgiens résidants en France დამტკიცებული პრეფექტურის მიერ და გამოცხადებული «Journal Officiel»-ში 1933 3 თებერვლის თარიღით.

საზოგადოების მიზანია: 1) შეაკავშიროს ქართველი ყოფილი მეომრები (ოფიცრები, ჯარის-კაცები, სამხედრო მოხელენი); 2) ნივთიერი და მორალური ურთიერთ დახმარება, და 3) მიანიჭოს თავის წევრებს ყველა უფლება-შეღავათი, რომლითაც სარგებლობენ საფრანგეთის ყოფილი მეომრები (კარტ დე კომბატან).

საზოგადოების მისამართი: Mr V. Tsakaia. 55, rue Thiers. Boulogne-Seine.

პატივისცემით ქართველ ყოფილ მეომართა საზოგადოების გამგეობა.

---

## ქრონიკა

— აპრილის 22-ს მოხდა ქალაქ ციურიხში შვეიცარიის ფაშისტური პარტიის ყრილობა. ყრილობას დაესწრო ისეთი დიდი რიცხვი ფაშისტური ორგანიზაციების წარმომადგენელთა, რომ დარბაზი, რომელიც იტევს 15000 კაცს, საკმარისი არ გამოდგა და კრება ორჯერ გაიმეორეს, რათა ყველას მისცემოდა საშუალება კრებას დასწრებოდა. ამ ყრილობამ ნათელ ჰყო, რომ შვეიცარიის ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა ფაშისტურ ორგანიზაციებს მისდევს. ფაშისტურ ორგანიზაციების ბელადმა განაცხადა: არ გაივლის ორი წელიწადი და შვეიცარიის სახელმწიფოს გამგე იქნება ფაშიზმი, რომელიც ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრის მარქსიზმსაო.

— შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტია დაირღვა, მას გამოეყო მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთან ჟენევის რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული პარტია შეუერთდა ჟენევის კომუნისტურ პარტიას ნაციონალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

---

გაზეთი „თეთრი გიორგი“ ეღირება:
წლიურად......20 ფრანკი.
6 თვით.......10 ფრანკი.
ცალკე ნომერი . . 2 ფრანკი
ფული და წერილები უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: M. Dadiani. 4, square du Trocadéro, Paris (16e)
Tél.: Prssy 45-17.

Imp. G. Cavallier, 28, rue du Départ, Paris.
Le Gérant: Felix KALDENBACH.